საჯ

№ 189
სექდემბრის 6, პარასკევი 1902 წ.
1877

ივერია

№ 189
სექდემბრის 6, პარასკევი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ეკატერინე იაკობის ასული საკოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის ქმრის, სტატსკი სოვეტნიკის

იოსებ გიორგის ძის საკოვისას,

3-ს სეკდემბერს ნაშუადღევის 2 საათზედ. გამოსვენება მოხდება შაბათს, დილის 10 საათზედ, კათოლიკეთა ეკკლესიაში. პანაშვიდი პარასკევს, შვიდ საათზე.
(2—410—2)

გნეინა ნინა ლორთქიფანიძისა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის ქმრისას

კაპიტანის ბესარიონ ლორთქიფანიძისას,

რომლის გამოსვენების დრო დანიშნულია 5 სეკდემბერს, 10 საათზედ, სოფელს ჩუნეშს.

გორის ქალაქის თვით-მმართველობა ამით აცხადებს: გორის ქალაქის მოურავი

იოსებ გიორგის-ძე საკოვი

გარდაიცვალა 3-ს ენკენისთვეს ორის ნახევარზედ შუადღის შემდეგ. პანაშვიდი იქნება გადახდილი უპრავის შენობაში 6 ენკენისთვეს 5 საათზედ სადილთ უკან. გამოსვენება მიცვალებულისა საკუთარ სახლიდგან რომის კათოლიკეს ეკკლესიაში იქნება დილით 10 საათზედ 7 ენკენისთვეს.
(1—1)

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდგან)

გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (6)

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ. Фармацевтика.

[illegible] № 741.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სი[illegible]ში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩააბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის არჩევაზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობნი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, სადა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

საგენტონი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—21)

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, დადიანი-ძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ რეპეტიციები

გამოსაცდელ წარმოდგენისა

დაიწყება 10 სეკდემბრიდან. ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღოს, მანამდის თანხმობა უნდა გამოაცხადოს გამგეობის კანტორაში—10—1 საათამდე.
(3—1)

1-ლ ენკენისთვიდგან ქ. ოზურგეთში გაიხსნა ოთხ-კლასიანი

ქალების სასწავლებელი

პროგიმნაზიის კურსით. თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტიძის სახლში
(10—6.—2)

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში

მიმდინარე წლის ენკენისთვის ოც რიცხვიდგან დაიწყება მისაღები ეგზამენები პირველ და მოსამზადებელ კლასებში. ადგილობრივი სამეურნეო საზოგადოების თავისუფალი სტიპენდიები არის. თხოვნის მიღება გათავდება 19 სეკდემბერს. თხოვნასთან უნდა იქმნეს გამოგზავნილი შემდეგი საბუთის ქაღალდები:

ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორიდგან.

ბ) ყვავილის აცრის მოწმობა.

გ) სიღარიბის მოწმობა, თუ სტიპენდია უნდა.

დ) წოდების მოწმობა (თუ თავადია ან აზნაური) მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან.

სასწავლებელში იღებენ მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის ძველ მცხოვრების შვილებს.

სასწავლებლის დრ. მმართველი ნ. მკურნალი.
(3—208—3)

საჭიროა რამდენიმე პატარა ბიჭი

გაზეთის გამყიდველად. მსურველთ უნდა მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციას დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2-მდე.

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო წეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ნ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ა. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ნ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ა. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 6 სეკდემბერს.

ზოგიერთმა ჩვენმა ჟურნალ-გაზეთმა ეგრედ წოდებულ „ძმობისა და ერთობის იდეალი“ააფრიალა თავის დროშაზედ. უმეტესად ქართველებისა და სომხების დამეგობრებას არიან მოწადინებულნი. „ძმობა და ერთობაო“, გაიძახიან ნიადაგ და საშუალებად, რომლის მეოხებითაც შეიძლება განხორციელდეს ეს იდეალი, გულ-წრფელობის მეტი არა მიაჩნიათ-რა. სომხის პუბლიცისტები, რა თქმა უნდა, ამ ჩვენს პუბლიცისტურ სიბრმავეს სიბრძნედ აღიარებენ და დღევანდელ უმაღლეს იდეალების სხივით ჰმოსავენ.

ერთ-ერთს ჩვენებურ პუბლიცისტს თავი და ბოლო ჩვენის ურთიერთობის გამწვავებისა ქალაქის თვით-მმართველობა ჰგონია. ის გარემოება, რომ ვაჭრებმა ჩაიგდეს ხელში ჩვენი ქალაქები, გაახვიეს ბადეში ჩვენი სოფლები, ლამის საქართველოს საუკეთესო ნახევარი ხელიდგან გამოგვაცალონ, ყველა ეს არაფერია. საკმაოა ქალაქის თვით-მმართველობაში მოვრიგდეთ იმათთან და დამყარდება ჩვენ შორის სამართლიანობა. აი, რას ჰქადაგებს, სხვათა შორის, „ცნ. ფურც“-ის პუბლიცისტი ბ-ნი კალამი.

საკვირველი პუბლიცისტური სიბეცეა! სწორედ განგებ უნდა დაიბრმავოს ადამიანმა გონების თვალი, რომ ასეთი რამ სთქვას. რას მოგვცემს ქალაქის თვით-მმართველობა ისეთს, რომ აღგვიდგინოს ჩვენი ვაჭრობა, ჩვენი მრეწველობა და ჩვენი მიწათ-მოქმედება.

დიაღ, სწორედ რომ უკიდურესობამდის მიდის ამ გვარ პუბლიცისტური უსუსურობა. თავიანთ იმედს, ტფილისის თვით-მმართველობაში გვეყოლება ჩვენი წარმომადგენლებიო, ამყარებენ იმ გარემოებაზე, რომ მოიპოვებიან გულწრფელნი სომეხნიო. ის უბრალო ისტორიული ფაქტი-კი არ იციან, რომ რომელიმე დასი არასოდეს თავის თავად არ იღებს ხელს თავის ეკონომიურს ბატონობაზე, თუ თვით საქმის ვითარებამ არ აალებინა ხელი. სად იყვნენ აქ-[illegible]მელთა იმედიცა აქვთ ჩვენს პუბლიცისტებს?! და თუ აქამდის არსად სჩანდნენ, ახლა გამოჩნდებიან ჩვენის პუბლიცისტების კალმის ერთის მოსმით? ამას გარდა, გვიკვირს, რომ ეს პუბლიცისტები გვირჩევენ, თუ ვინიცობაა ჩვენ გავიმარჯვეთ თვით-მმართველობაში, ჩვენი ადგილები ჩვენის ნებით უნდა დავუთმოთ პლუტოკრატიის წარმომადგენლებსა და მათს ნაშენსაიდ. ნეტავი რათა?

გულუბრყვილო ოცნებას რომ მივყვეთ, ცხადია შორს წაგვიყვანს? მაგრამ საკვირველი გონებრივი სიბეცე უნდა ჰქონდეს კაცს, რომ იფიქროს, ჩვენი მოქიშპენი თავის ნებით დაგვითმობენ ბრძოლის ასპარეზსაო. ლამის. თუ თავის ეკონომიურ უფლება-უპირატესობაზე ჯერ არავის აუღია ხელი, ყველაზე ნაკლებ ის არ ჩვენი მოქიშპენი აიღებენ ხელს. ეს საანბანო ჭეშმარიტება არ ესმით მხოლოდ ზემოხსენებულ პუბლიცისტებსა. ჩვენთან საბრძოლველად ჩვენდა უმეტეს დასაჩაგვრელად ყველანი ერთად შეჯგუფდებიან, ერთად შეერთდებიან, ჩვენ მხოლოდ ჩვენის თავის იმედი უნდა გვქონდეს და ყველაზე ნაკლებად-კი იმ გაბატონებულ ვაჭრებისა. ამგვარად ჩვენის პუბლიცისტების „ძმობისა და ერთობის“ იდეალს არაფერი არა აქვს საერთო ძმობასთან და ერთობასთან; მისი განხორციელება იქნება სასარგებლო მხოლოდ ჩვენის მოქიშპეებისთვის, ყველაზე ნაკლებ-კი ქართველებისათვის,

და ჩვენ რომ მეტი წარმომადგენელი გაგვიჩნდეს ამ თუ იმ მიზეზის გამო ქალაქის თვით-მმართველობაში, ნუ-თუ ეს უსამართლობა იქმნება? როგორ? როდესაც ისინი მტრად გვეკიდებიან, ყველაფერზედ ხელს გვაღებინებენ, ეს ცოდვად ჩასათვლელი არ არის და ისკი ცოდვად უნდა ჩაითვალოს, რომ ქალაქში, რომლის ყოველი ფეხის დადგმა მორწყულია ჩვენთა წინაპართა სისხლით, მეტი ხმა გვქონდეს?

ნუ დავივიწყებთ, რომ ქართველების გამარჯვება ქალაქის თვით-მმართველობაში მოასწავებს სიმართლისა და თანასწორობის გამარჯვებას. მაშ, ვისაც ძმობა და ერთობა სურს განახორ-

ცილოს თვით-მმართველობაში, მან უნდა ისურვოს ქართველთა და მათთან ერთად რუსთა გამარჯვებაცა.

ტფილისი

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ცნობილს არტისტ ქალს პაპაიანს რევოლვერი დაუცია პეტერბურგში ტერ-ს—სთვის. ახალგაზდა ტერ-ს. როგორც ამბობენ, სასიკვდილოდ არის დაჭრილიო.

✦ 4 ამ თვეს ნავთლუღის ბაღებში მოხდა შესაზარი კაცის კვლა: ტფილისის მცხოვრებს დავით ოქოევს დაეპატიჟნა თავის სახლის მდგმურის ცოლი, რომელთანაც ძალიან დაახლოვებული თურმე იყო. თუმცა ქმარი, თათუზა სარქისოვი იქვნეულობდა, მაგრამ დედა და თვით ცოლიც ყოველთვის ამშვიდებდნენ ამ სატანჯველ გრძნობით გამწარებულ კაცს. 4 ამ თვეს, როცა თათუზა სარქისოვი შინ დაბრუნდა, ცოლი, დედა და და შინ არ დაუხვდნენ, მეზობლებმა უთხრეს, რომ დილას აქეთია წასულები არიან სახლის პატრონის ოქოევის ბაღებშიო. ქმარმა მაშინვე მოავლო ფინურ დანას ხელი, ჩამოიკიდა ჩოხის ქვეშ და გასწია ბაღებისაკენ. სადილი გათავებული ჰქონოდათ და სარქისოვის ცოლსა და ოქოევს გაესეირნათ ბაღში; იმ დროს, მივარდება გალომებული სარქისოვი და დააკლამს დავით ოქოევს; დანა გულში სამჯერ დასცა სარქისოვმა და ოქოევმა იქვე სული განუტევა. გამოუდგა ცოლსაც, მაგრამ ამ დროს უკვე მისცვივდნენ კეტებით მებაღეები და დააგდებინეს დანა ხელიდამ.

✦ ქუთაისიდგან სწერენ დეპეშით გაზ. „ცნ. ფურ."-ს: თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა უმაღლესად ნაბოძები ფული მოახმაროს სასწავლებლის გახსნას. ხვალ ამოირჩევენ კომისიას სასწავლებლის ტიპის ასარჩევად.

✦ გამოვიდა და ისყიდება ქართული საეკკლესიო საგალობლები, ოთხ ხმაზედ დაწერილი ცნობილის რუსის კომპოზიტორის ბ-ნ ნ. კლენოვსკის მიერ. ამ ჟამად ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გალობის მასწავლებელს ბ-ნ ზაქარია ჩიკვაძეს განზრახვა აქვს ეს საგალობლები შეასწავლოს სკოლის მოწაფეთა მომღერალ გუნდს და შემდეგ მცოდნე [illegible] თანდასწრებით შეამოწმოს, რამდენად სისწორითაა გადაღებული ბ-ნ კლენოვსკის მიერ ხსენებული საგალობლები.

✦ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეიძინა განსვენებულის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის წიგნთ-საცავი ათას ორას მანეთად.

✦ ამ დღეებში მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი კავკასიის სამკურნალო წყლებიდგან მიბრძანდება გაგრში სანატორიის კურთხევაზედ დასასწრებლად. როგორც ქალაქში ხმები დადის, მინისტრი ტფილისშიაც ჩამობრძანდება და აქედგან გაემგზავრება ერევნის გუბერნიაში ყულფისა და სხვა მარილის მადნების დასათვალიერებლადაო. მინისტრი დაათვალიერებს აგრეთვე იმ ადგილებს, სადაც აღმოჩნდა სხვა-და-სხვა მდიდარი მადნები.

✦ გუშინ დილით ქალაქის მოურავმა დაათვალიერა ქალაქის ბაზარი და ხორცის დუქნები. სხვათა შორის, შეამჩნია უდროვოდ ქუჩებისა და მოედნების გვა და მოახდინა განკარგულება, რომ მოედნები და ქუჩები იგვებოდეს და სუფთავდებოდეს ვაჭრობის დაწყებამდეო.

✦ კავკასიაში მიწათ-მოქმედების რწმუნებულის თავმჯდომარეობით, ამ ჟამად კრებანი იმართება სახელმწიფო ტყეების მეთვალყურეთა, რომელნიც განიხილავენ სხვა-და-სხვა საგანს ტყის სარგებლობის შესახებ გლეხებისაგან.

✦ 2 ოკდომბრისათვის დანიშნულია ნავთლუხში ნავთის ადგილების იჯარით გაცემა

✦ ქ-ნს დემურიას ქალაქის გამგეობამ მისცა 200 მანეთი ჩუღურეთის უფასო ბიბლიოთეკისათვის და ჩუღურეთის საკვირაო სკოლის სასარგებლოდ.

✦ ვაკების პირველ საკვირაო სკოლის გამგემ მიართვა ქალაქის გამგეობას ქაღალდი და სთხოვს, რომ გამგეობამ, წარსულ წლებისამებრ, დაუნიშნოს ამ სკოლას მომავალ წლისათვის 300 მანეთი შემწეობა.

✦ დონის საიმპერატორო საბაღოსნო განყოფილების თხოვნისამებრ, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით, კავკასიის სააბრეშუმო სადგურის გამგე გაიგზავნა ნოვოროსსიისკის საბაღოსნო, სააბრეშუმო და სამეურნეო გამოფენაზედ. გამგემ მონაწილეობა უნდა მიიღოს იქაურ მეურნეთა ყოველს კრებაშიაც.

✦ საგუბერნიო მმართველობას განუხილავს ტფილისის ქუჩებზედ ელექტრონით მავალ ტრამვაის პროექტი და თავის მოსაზრებას ამ დღეებში წარუდგენს უმაღლესს მთავრობას.

✦ დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია იმ მცირე კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დავალებული აქვს ტფილისის ქუჩების გაუმჯობესებულ სისტემით მოფენის საქმე. კომისია ამ კრებაზედ შეადგენს აგრეთვე ამ საქმის ხარჯთ-აღრიცხვასაც.

✦ შაბათისათვის დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა, ტეხნიკოსებისა და ზუბალოშვილის სახელობაზედ თავშესაფარის აგების კომისიისა. ამ კრებაზედ საბოლოოდ [illegible] რიცხვა ამ თავშესაფარის აგებისა.

✦ თელავის მაზრაში წრეულ სიმინდის მოსავალი ძალიან ნაკლებიაო; სამაგიეროდ ღვინის მოსავალი დიდს იმედს იძლევაო.

✦ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა ამ დღეებში დაურიგა მემამულეებსა და სამეურნეო საზოგადოებათ ხალხში გასავრცელებლად დარიგება იმისი, თუ როგორ უნდა ეწინააღმდეგონ მავნებელ მწერთ.

✦ კავკასიის სამრეწველო კომიტეტის მიერ გაგზავნილ სტატისტიკოსებს ერევნის გუბერნიაში უკვე შეუდგენიათ აღწერა ხალიჩის ქსოვისა, აბრეშუმეულობის მომზადებისა და წარმოების სხვა-და-სხვა დარგისა. ეს აღწერა წარედგინება კავკასიაში მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს სამინისტროში გასაგზავნად.

✦ ამ ჟამად თავისუფალია წერა-კითხვის საზოგადოების მდივნის ადგილი, რომელსაც თავი დაანება ბ-ნმა პ. მირიანაშვილმა. პ. მირიანაშვილი დანიშნულ იქმნა სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის საქმეთა-მწარმოებლად.

✦ როგორც ბათუმის გამგეობის ერთმა წევრმა გადმოგვცა, ამ მოკლე ხანში დამთავრდება ბათუმის ქალაქის საკუთარი სახლი, სადაც მოთავსებული იქნება ქალაქის მმართველობა და მისი განყოფილებანი.

✦ ქალაქის მოურავს გუბერნატორისაგან მოუვიდა მოწერილობა, რომ თანახმად სენატის დადგენილებისა, მოსპეთ ხარჯის აკრეფვა სოფლელებისაგან ჩამოტანილ სანოვაგეზედ კვირაობით ბაზრებშიო.

✦ როგორც საბუთების ქაღალდებიდან სჩანს, ვორონცოვის დროს 1847 წელს ქალაქს ნავთლუხის ნავთის ჰები 5500 მანეთს შემოსავალს აძლევდა ქალაქს; ამ შემოსავალმა 1866 წლებში 2600 მანეთამდის დაიწია, ხოლო 1869 წელს-კი 500 მანეთამდის დაეცა. შემდეგ ქალაქი თითონ ჰყიდდა ამ ადგილებიდგან ნავთს და 1884 წელს 1175 ფუთი ნავთი გაუყიდნია 175 მ.ნ. 95 კაპ. 1888 წ. კი გაუყიდნია 300 ფუთი 70 მან. 60 კაპ. ამ დროდგან-კი ისე უპატრონოდ ეგდო ეს მამულები, სანამ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა არ მოსწერა, რადგანაც თქვენი ქალაქისთვის გამოუსადეგარია ეგ ადგილები, ამიტომ სახელმწიფომ უნდა მოჰკიდოს ხელიო.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნის თხოვნის თაობაზედ გამგეობა შეეკითხა პეტერბურგისა და კიევის ქალაქებს, აქვს ნება ერთ და იმავე ამომრჩეველს ორს ნაწილში იყოს ამორჩეულიცა და ამომრჩეველიცაო? ამაზედ პეტერბურგის ქალაქის თავმა ლელიანოვმა შეატყობინა დეპეშით გუშინ, თუ ერთსა და იმავე ამომრჩეველს ორს განყოფილებაში უძრავი მამული აქვს, შეუძლიან ერთში იქმნას ამორჩეული, ხოლო მეორეში ხმა მისცესო.

✦ თამამშევის თხოვნაზედ, თუ რა ნაირი მოწმობანი უნდა წარუდგინონ სანდო კაცებმა ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის მი[illegible] გამგეობამ უპასუხა: მოწმობანი ან უნდა იყოს შემოწმებული ნოტარიუსით, ან პოლიციისაგან და თუ მოხელეა,—მისმა უფროსმა უნდა შეამოწმოსო.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის მიერ შემუშავებული სართსკიპო სახლებისათვის სავალდებულო წესნი, გუბერნატორის მიერ დამტკიცებულნი, ამ ცოტა ხანში შევა თავისს ძალაში.

✦ ტფილისის გუბერნატორს გამოუცია სავალდებულო დადგენილება, რომ იმათ, ვისაც სურს ლომბარდებიდგან და მოხსენებულ კასსებიდგან იარაღი შეიძინოს, უნდა წარადგინონ მოწმობა იმის შესახებ, რომ ნება აქვთ იარაღის ყიდვისა.

✦ სახელმწიფო ბანკისთვის მთავრობამ საკუთარი შენობა უნდა ააგოს და ამ საგნისთვის ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ უკვე შეიძინა ადგილი. ამ შენობის აგებას შეუდგებიან მომავალ წელს; საგარაუდო გამოანგარიშებით შენობა დაჯდება 200,000 მანეთი.

✦ გუშინ გვქონდა მოხსენებული, რომ ქალაქის გამგეობის წევრთა და ტეხნიკოსთა კრებას უნდა განეხილა ტფილისის ქუჩების ელექტრონით განათების პროექტი, მუხარინსკისა და ეგოროვის თანადასწრებით; ელექტრონის მავთულები დედამიწაში უნდა გაიბას, რის მოწყობაც, პროექტის აზრით, მოითხოვს 80,000 მანეთამდე. ინჟინრებმა მუხარინსკიმ და ეგოროვმა წარუდგინეს კრებას თავიანთი მოსაზრებანი და ამტკიცებდნენ, რომ 40,000 მან. არ აღემატება ეგ ხარჯიო.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქის საქონელს ჭირი გაუჩნდა და ამაზედ ბეითლებმა მოსთხოვეს გამგეობას რაიმე ღონისძიებანი მიიღეთო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მოისპოს საქონლის ჭირიო.

ბრძნული დადგენილებაა სწორედ!

ჩვენებური ამბები

აბაშა. მოგეხსენებათ, რომ აქ ყოველ პირველ ენკენისთვიდამ ათამდე იციან იარმუკობა. ამ იარმუკობაზე მოსულ მოვაჭრეთ ბაჟს ახდევინებენ და კაცმა-კი არ იცის, ვის და რის სასარგებლოდ. „ბაჟი-ბაჟიო", გაიძახიან ყოველ მხრიდგან მებაჟეები; ლამის გასეირნებისთვინაც ბაჟი აგვართვან! აძლევ შენს თავს კითხვას: რა გაგვიკეთეს ამ ფულებით? სამკითხველო? იმისი ხსენებაც ხომ არ არის! უფასო წარმოდგენებს მართვენ? ეს ხომ შეუძლებელია! გზები? იმისი ჭირი არ იყოს, რაც აბაშის ქუჩები ქვებით მოკენჭილია! ნუ-თუ ჰა, რომელიც ახლა არაფრად არ ღირს! მეტად სასურველი იქნებოდა, რომ მებაჟეები ანგარიშს წარმოუდგენდნენ ვისმე...

ალ.

—

გარეთ-კახეთი (სოფ. ჩაილური). სწავლა-განათლების და მის გავრცელებისათვის ყველა იბრძვის. არის ჩვენში ისეთი სოფლები, რომ ეხვეწებიან და ემუდარებიან მთავრობას, სასწავლებელი დაგვიარსეთო, ჩვენც გვინდა, ჩვენი შვილები პატარა სინათლეში გამოვიყვანოთო. სოფ. ჩაილურმა-კი არამც თუ ითხოვა, არამედ მზა-მზარეულად გამართული სკოლა დააუქმა.

აი საქმე როგორ იყო: ამ ორის წლის წინად სამინისტრო სკოლების გამგეობამ დააარსა ჩაილურში სკოლა, დაიქირავა შენობა, გაუგზავნა ყოველივე მოწყობილობა და დაუნიშნა მასწავლებელი.

მასწავლებელმა კ. მჭ—შვილმა შეჰკრიბა ბავშვები და დაიწყო სწავლა. გავიდა რამდენიმე კვირა და აუჯანყდა მთელი სოფელი, რომ ჩვენ სასწავლებელი არ გვინდაო; ჩვენ ვართ მიწერილები კაკაბეთზედ, კაკაბეთის სკოლაში დადიან ჩვენი შვილები და გვახდევინებენ კიდეც გადასახადს. ეხლა აქაც უნდა ვიხადოთ და იქაც; ამ ორ ხარჯს ვერ შევუძლებთო. მასწავლებელმა აუხსნა: რადგან ჩაილური კაკაბეთზედ შორს არის და ბავშვებისთვის ძნელია იქ სიარული, ამის გამო აქვე კარ-წინ გავიმართოთ სკოლა და გადასახადი გექნებათ მხოლოდ აქაურის სკოლისა და კაკაბეთისაში განთავისუფლებული იქმნებითო.

სოფელმა მაინც არ დაუჯერა და ბავშვები აღარ გაგზავნა სასწავლებელში. მასწავლებელმა, ადგილობრივ თავადიშვილების დახმარებით, კიდევ რამდენჯერმე გაუმეორა საქმის ვითარება, მაგრამ ვერა გააწყო-რა. იყო ისე დაკეტილი მთელი წელიწადი.

ამ აგვისტოში კიდევ გაგზავნა სკოლის გამგეობამ მასწავლებელი, რომ იქნება როგორმე მოეყვანა ჭკუაზედ ეს გაუგებარი ხალხი, მაგრამ ამაოდ ჩაუარა შრომამ. მასწავლებელმა შეატყობინა გამგეობას ეს გარემოება. ამ უკანასკნელმაც არც აცია და არც აცხელა და გადმოიტანა სკოლა სოფ. აზამბურში (აზამბური მდებარეობს სიღნაღის გზაზედ სართიჭალასა და ივრის ხიდს შუა. მცხოვრებლები სულ გადმოსახლებულები არიან ჩრდილო კავკასიიდან). სოფ. ჩაილურმა-კი კარზედ მომდგარ ბედნიერებას ხელი ჰკრა.

ვანო.

—

კარდანახი (სიღნ. მაზ.). სწავლა-განათლების საქმე სოფელს კარდანახში ისე არ არის დაყენებული, როგორათაც ეს სასურველია, მაგრამ თუ შევადარებთ მას ზოგიერთ სოფლებთან, ამ მხრივ იგი ბევრად წინ არის წასული და მომავალშიაც მეტს იმედებს გვიქადის.

წერა-კითხვის გავრცელებას ხალხში ემსახურება სამი დაწესებულება: ორი სკოლა (ერთი სამინისტრო, მეორეც საქალებო სამრევლო) და სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამინისტრო სკოლა კარგა ხანია არსებობს, ხოლო ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სამრევლო სკოლა უკანასკნელს ხანებში დააარსეს. სკოლები ჩვენ კარგა ხანია გვესაჭიროებოდა, მაგრამ საქმის მოთავე და გამახორციელებელი-კი არსად სჩანდა. დღესაც ვერ დავიკვეხებთ, რომ ჩვენ საკმაოდ გვყავანდნენ სოფელში გულის შემატკივარნი და მცოდნენი საქმისა, რომელთაც შეეძლოთ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე შესახებ სკოლების უკეთესად მოწყობისა. ხალხი თანაგრძნობას უცხადებს და დახმარებას უწევს იმათ, ვინც რომ სასარგებლო საქმეს ჰკიდებს ხელს. ასე თუ ისე, მადლობელნი უნდა ვიყვნეთ იმათი, რომელთა მეცადინეობით დღეს კარდანახს, გარდა სამინისტრო სკოლისა, აქვს კიდევ საქალებო სკოლა და წიგნთ-საცავ-სამკითხველო. მეთაურობა აქაურს საკეთილო საქმეებში ეკუთვნის კნ. ნ. აფხაზისას; იგი თვითვე აწარმოებს ბიბლიოთეკის საქმეებს და საქალებო სკოლის საპატიო მზრუნველად ითვლება. იშვიათის თავგამოდებით ეპყრობა იგი მის მიერ დაწყობილ საქმეებს და სხვებსაც იშველიებს.

აქ ზაფხულობით თანდათან საზოგადოება მატულობს. სხვა-და-სხვა ადგილებიდან ბრუნდებიან მოსწავლე ყმაწვილები, ქალები თუ ვაჟები, და ამათ დახმარებით წარმოდგენები იმართება. წარმოდგენებს ზამთარშიაც ჰმართავენ ხოლმე. ზაფხულობით წარმოდგენას ესწრებიან, კარდანახელებს გარდა, სხვანიც

ფელეტონი

დურგლიანთ ქორწილი

(შემდეგი *)

VII

სიმამრის სახლში დიდის ამბით გველოდნენ და ემზადებოდნენ ჩვენ დასახვედრათ. მალე კიდეც მოჰკრეს ყური მაყრულის სიმღერას და გამოცვივდნენ კარში ჩვენს მოსაგებებლად.

აგერ მივედით ჩვენცა.

შეიქნა სიხარულის ყიჟინა.

მეფე-დედოფალი დიდის ხვევნა-კოცნით გადიყვანეს ურმიდამ და აიყვანეს ტახტზე, სადაც სუფრა იყო გაშლილი და დასხეს ბალიშებზე, რომელნიც წინდაწინვე დამზადებინათ. მეც, რასაკვირველია, როგორც ნათლიას, იმათ გვერდზე მქონდაადგილი და ამიტომ მეტ პატივსა მცემდენ.

სოფლის ქალებით, რომელნიც მოსულიყვნენ თავიანთ დობილის გამოსამშვიდებლათ, გაივსო სახლი.

პირველად დედოფლის მამამ, მოხუცებულმა, აიღო ვერცხლის თხელი პატარა ჰიქა გაავსო ღვინითა და დაილოცა.

— შვილო, ღმერთმა გაგაბედნიეროს ქმრის ხელში და მოგცეს კეთილი ბოლო — შვილო, ახლა მე სიკვდილი აღარ მიმძიმს. რაკი მოვესწარ შენს ბედნიერებასა, ახლა-კი ტკბილათ ჩავალ საფლავში. ღმერთსა ვთხოვ, შვილო, შენს მრავალ წელს დღეგრძელობასა და გაგახაროს ისე სიცოცხლეში, როგორც ჩემი მოხუცებული გული სთხოვდეს.

ამ დროს მოხუცს ცრემლი მოერია თვალებში.

— მეფე-დედოფლის სადღეგრძელო იყვეს — დაამთავრა მოხუცმა და დაცალა ჰიქა.

ცრემლი, მორეული გულ-აჩუყებულ მოხუცის თვალზე, შეერია იმ ღვინოსა.

აქ მოხუცმა ჰიქა გადულოცა სიძეს სახსოვრად.

— ურაა!!!—დაიძახეს მაყრებმა და დაიწყეს გაცხარებული ღვინის სმა.

პატარა ხანს უკან დაიძახა გიგამ:

— აბა, არ დავგვიანდეთ, ჰაა! დროა ჩვენი წასვლისა—და წამოდგა სუფრიდამ.

დედოფლის ძმებმაც დაანებეს ღვინის სმას თავი და დაუწყეს ჩალაგება ურემში მზითევს.

მეფე-დედოფალიც წამოაყენეს.

მეც იმათთან ავდექი და გამოვედი ძირსა.

დედოფლის დედა შემოეხვია თავისს ქალსა და მორთო ტირილი.

— ვიღა უნდა იყვეს ჩემი მშველელი, შვილო, თონეში პურის ჩაკვრა ვიღამ უნდა მიშველოს ხოლმე, შვილო, მაგ ძაღლი-ჭამიებმა საძიძურიც არ მომცეს, ისე წამართვეს შენი თავი.

იმის მიბაძვით სხვა ქალებმაც დაიწყეს მოთქმით ქვითინი, კაცს ეგონებოდა, ქალი-კი არ გაათხოვეს, არამედ ცხედარს ასაფლავებენო.

ბოლოს მოხუცებულმა ქალის მამამაც ჩაიკრა გულში თავისი ქალი და მორთო ამანაც ქვითინი.

— შვილო, მაღალი ღმერთი იყვეს შენი მფარველი,—თქვა მოხუცმა და ჩააბარა თავისს სიძეს.

— ღმერთმა გაგაბედნიეროთ ორივენი,— მოისმა აქეთ-იქიდან ხმა მეზობლებისა.

— ადექით, კარგი, გეყოფათ, გვიანდება,— დაუძახა გიგამ მაყრებსა.

— გეყოფათ რომელია, გიჟია ე რძერი ვიღაც არი, თქვენ ქალი მიგყავთ, ჩვენ ღვინოც არ დავლიოთ?—მისცეს პასუხი გიგას მაყრებმა.

— გეყოფათ, თქვენც ე ალერსი,—მიუბრუნდა გიგა ახლა დედაკაცებსა.

— დაგვაცადეთ, ქაა, პატარა ხანს კიდევ ვუყუროთ.

— ყურება თუ გინდოდათ, აქ არა გყავდათ?

ამასობაში ურემიც შებეს.

მაყრები კიდევა სვამდნენ და არ იძვროდნენ სუფრიდან, მოდიოდნენ ახალ-ახალ სადღეგრძელოებს და აქებდნენ, ვინც უფრო კარგი ღვინის მსმელი იყო.

— ძაან მაგარი ღვინოა, და მე შენ გითხრა, სწორედ კაი სმის გუნებაზედაცა ვარ,—სთქვა მიხამ.

— სმისა, მეშენ გითხრა, სვანიაანთ კოტეს არ აჯობო სმაში,—უპასუხა მიხას გვერდით მჯდომმა,—ისე ყლურჭამს და არახრახებს პირდაპირ ყელში, თითქო ძაბრით ასხამენ რუმბშიო.

— სწორე გითხრა, სვანიაანთ კოტეზე კიდევ ხეჩუაანთ გასპარა უფრო კარგა სვამს,— სთქვა მესამემ,—ორ თუნგს კარგად იტანს ჯერზე, ოთხ ხელ კამპანიას ისე გამოიცვლის, თითქო ჯერ არა დაულევია-რაო.

— ხეჩუაანთ გასპარა ეხლა კოტეს ველარ აჯობებს სმაში,—სთქვა მეოთხემ,—გასპარა, მართალია, წინად კარგათა სვამდა, მაგრამ ეხლა გატყდა და ძრიენ მალე ეკიდება სასმელი.

— მიხა, მიხაჯან!—სთქვა ერთმა მაყარმა.

— ჰაჯან, ღმერთმა ჯანი მოქცეს,—უპასუხა მიხამ.

— ეს საკუთრივ შენი სადღეგრძელო იყვეს, რომ მარჯვეთ მოსცხე ი სახრე კავთისხეველსა, ღვთის წყალობა გაქვს, მალე-კი მოტიშეს.

— ახლა, გავლაზე უყურე? სულ წინ გადაგვიდგებიან.

— გადაგვიდგებიან და განა სხვა გზა არ არის?

— მე სხვა გზები არ ვიცი, პირდაპირ იქით უნდა წავიდეთ, ძ ვაი იმასა, ვინც შეუშინდება.

-- უჰ, შენ-კი გენაცვალე მაგ გულში, რომ გმირი ხარ სწორედ, პროშტი, შენი ჭირიმე.

— თქვენ გელით, კაცო, ადექით, გვიანდება,—შემოიძახა კიდევ გიგამ გარედან.

— ადე, ადე, შვილოსა, თორე სირცხვილია, სხვა არა იყვეს-რა,—დაიწყეს წუწუნი მაყრებმა, რომელნიც უკვე კარგად იყვნენ ჩაბრუტიანებულნი და ნელ-ნელა წამოიშალნენ.

— სამღვთის-მშობლო, ღვთის-მშობელი შეგეწიოთ!—იძახდნენ მაყრები.

— ამ ღვინის თავის დანებებას კავთისხეველი კეტის მოხვედრა მერჩივნა ისევა, სთქვა გულ-ნაკლულად გელიტაანთ მიხამა და ადგა.

— ნეტა ი წვიმას ისე არ გაეუპატიოსნებინეთ გუშინა! ახ, რა მომაგონებდა, თუ ისე დროს შემირჩევდა,--დაიწყო კიდევ ბოდიშის ხდა მოხუცებულმა სახლის უფროსმა.

ცოტა ხანს უკან დაიძრა ურემი, და ჩვენი მაყრიონ-მეფე-დედოფლით მივდიოდით კავთისხევის გზით ახალციხისაკენ.

— ძაღლი-ჭამიები! ძლივს არ გამეცალნენ!—წაიტუტუნა ბარნოს სიდედრმა და შევიდა შინა.

VIII

რიცხვი წამოსულთა აღემატებოდა ოცდაათ სულსა, რადგან ქალის მხრივ სტუმრად ბევრმა მოინდომა წამოსვლა. ქორწილი იყო და უამისობა არ იქნებოდა. დედოფლის მახლობელნი მარტო ორნი ძმანი იყვნენ, რადგან დედ-მამის წამოსვლა არ შეიძლებოდა, მანამ სიძე ფეხს არ იბრუნებდა მოსაკითხით, მაგრამ ბიძებმა და ბიძაშვილებმა, თუმცა ყველამ ცხენი ვერ იშოვნა, უცხენოთაც არ დაიზარეს და წამოგვყვნენ [illegible].

ჩვენი ურემი გასცდა ნიჩბისსა და გავედით [illegible] საურმე გზაზე. პატარა ბიჭი, რომელიც მეურმედ იჯდა ურმის თავზედ, რაც შეეძლო, მიერეკებოდა ხარებს, ეტყობოდა, [illegible].

ჩვენი მაყრებმა, რაკი დაიღალნენ სიმღერით, გადაჰხვიდნენ ერთმანეთს მხრებზე ხელი და, ხვირთქლ გადადენილნი, მოსდევდნენ ჩვენს ურემს. ბოლოს ძალიან [illegible] ჩამორჩნენ.

დაუბერა [illegible] ქარმა და ჩვენს ურემს [illegible] ზუზუნი, თითქო [illegible] შიგ მსხდომთა [illegible] ლექსებსა.

ორი ახალი ჯვარ-დაწერილი ქალ-ვაჟი გაიტაცა ამ ქარის მუსიკამ, რაღაც ტკბილი ფიქრებმა. ჩაფიქრდა ორივენი რაღაც ტკბილმა გრძნობამ. ახლა ისინი ჰგრძნობდნენ თავს ერთმანეთის საკუთრებად; ჰგრძნობდნენ, რომ [illegible] ამხანაგი, რომლისთვისაც შეეძლოთ გაზიარებინათ თავისი დარდი და სიხარული, და გულ-ახდილად გამოეცხადებინათ გრძნობა სიყვარულისა, რომლითაც ისინი უნდა დამტკბარიყვნენ, არა მარტო ხორციელად, არამედ სულიერადაც. მაგრამ, გამოუცდელობამ და გაუბედაობამ არ [illegible] ნება, რომ დაეწყოთ ახლავე ერთმანეთთან საუბარი, გამოეთქვათ თავისი გრძნობა და მოესმინათ მომავალი ბედნიერება. სიტყვები გამოუთქმელნი უფრო ტკბილად [illegible]

---

*) იხილე „ივერია" № 186.

ახლო მდებარე სოფლებიდან: ბაკურციხიდან, კოლაკიდგან, ანაგა-ვაქირიდგან და სიღნაღიდგანაც. მოსწავლე მოზარდი თაობა ბევრია ჩვენს სოფელში. არიან სტუდენტები, გიმნაზიელები, სხვა-და-სხვა საშუალო და დაბალ სასწავლებლის მოწაფენი, ქალნი თუ ვაჟნი.

სწავლის მსურველი ჩვენს სოფელში ბევრია, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყველას სურვილის დაკმაყოფილება არ შეიძლება. აქაური სამინისტრო სკოლა რო ორ-კლასიანად გადაკეთებულიყო, კარგი იქნებოდა.

აქაური გლეხები ისევ რჩეობენ შვილების სიღნაღსა და ტფილისში გაგზავნას და ერთი-ორად ხარჯის გაწევას, ვიდრე აქ სწავლებას. სიღნაღში დღეს კარდანახიდგან ოცზედ მეტი ყმაწვილი სწავლობს.

ამ უკანასკნელის სამის წლის განმავლობაში ა. ავალიშვილი იყო აქ მასწავლებლად. ამ წლიდგან წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იგი დანიშნა კავკავის სკოლის მასწავლებლად. 26-ს მაისს გამოეთხოვა თავის მოწაფეებს, რომელთა შორის მან ჯეროვანი სიყვარული მოიპოვა. სწავლის გარდა, ყმაწვილებს საეკკლესიო გალობასაც ასწავლიდა და კვირა-უქმე დღეს მოწაფეთა გუნდს ეკკლესიაში აგალობებდა. მგალობელთა გუნდში ქალებიც ერივნენ. სკოლის საქმეების გარდა, ავალიშვილი სახალხო წარმოდგენებსაც უძღვებოდა. მანვე მოაწესრიგა აქაური წიგნთ-საცავ-სამკითხველო, შეადგინა კატალოგები, ანგარიშები დ̃ ასრულებდა ბიბლიოთეკარის თანამდებობას. მადლობით იხსენიებენ მას იმ სიკეთისათვის, რომელიც მან აქ დასთესა.

კარდანახელი.

—

სამეგრელო. მეგრელთა შორის გავრცელებულია სხვა-და-სხვა ცრუმორწმუნეობა. მეხ-დაცემულ ხე, რაგინდ უჭირდეს კაცს, არ შეიძლება მოიხმაროს, თუ მოიხმარა, არ იქნება, მეხი არ დაეცესო. ხშირად მომხდარა, რომ მეხ-დაცემული ხის ქვეშ ყოფილა დაბინავებული პირუტყვია ჯოგი ანუ ცხვარ-თხების ფარა და მთლად გაუწყვეტია მეხს, ხოლო ამ დახოცილ საქონლის ტყავითა და მატყლით არავის უსარგებლნია. მესისაგან დახოცილ პირუტყვის ლეშს ესენი ღრმა ორმოში ჰმარხავენ მატყლიან-ტყავიანად. თუ ასე ღრმად არ დაიფლა, ამბობენ, ლეშს მეხი დაეცემაო. არა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ საწყალი გლეხის ეზოში ხეს მეხი დასცემია და მის ქვეშ დაბინავებული ხარები და ძროხა დაუხოცნია. გლეხი იქვე მიწაში ჰფლავს პირუტყვთა ლეშს ტყავიანად და თვით ხესაც აღარ ეკარება შიშის გამო.

„კუჩხა“ (გურიაში „ფერხობა“) იციან ახალ წლის მეორე დღეს 2 იანვარს. ამ დღეს ერთი მეორისას არ დაიარება. მეზობელი თუ მეზობელს ესტუმრა და ამ უკანასკნელს მდგომარე წლის განმავლობაში გლახა ჭირნახული მოუვიდა, ან რაიმე უბედურება თავს დაატყდა, იგი ყველა ამას აბრალებს თავისს მეზობელს, რომელიც „კუჩხა დღეს“ მივიდა მისს სახლში. კარგი ფეხი არ ჰქონიაო, მე და ჩემი ცოლ-შვილისათვის კარგი არ სდომებიაო. ამას მოჰყვება ხოლმე მტრობა, წყევლა-გინება და, ხშირად, ჩხუბი და დავიდარაბა.

„ბატონები“ (წითელა, ყვავილი)! ვისაც „ბატონები“ ეწვევა, ე. ი. ვინც ავად გახდება ან ყვავილით, ან წითელათი, მისთვის ექიმის დაძახება, მისი რჩევა-დარიგება და წამლის ხმარება ბატონებს ეწყინებაო, ამბობენ. „ბატონებს“ ესიამოვნება არა ექიმ-წამლები, არამედ მეტანია, ტკბილი სიტყვა, ჩანგურზედ დაკვრა და ზედ ტკბილ-ტკბილ სიმღერების დამღერება: ია, ყვავილები, წითელი ვერცხლი და „თეთრი“ (ფული). ვინც ასე დახვდება „ბატონებს“, ავადმყოფი შეუწუხებლად გადიტანს ავადმყოფობას და მორჩებაო.

„კუდიანობა“, „მკითხაობა“ და კიდევ ბევრი სხვა უჯერო რწმენა მოსდებია მდაბიო ხალხს. რაც საუკუნოებით მამა-პაპას გადმოუცია, იმ ცრურწმენაზე დარჩენილა დღესაც ხალხი, ხოლო მისი კეთილ გზაზე დამყენებელნი არ ჩანან...

თ. ძველაია.

—

ციხე (გურია). ვინც არ მოსწრებია, გაუგონია მაინც, რომ გურიაშიც იყო ერთხელ შესანიშნავის ჯიშის ვაზები, როგორც მაგ., ჩხავერი, ჯონი, ტევან-დიდი და სხვ. დიაღ, იყო და აღარ არის—ბუნების უკუღმართმა მიმდინარეობამ სხვა ბედნიერებასთან ერთად გურული მევენახეობაც წარიტაცა. დავრჩით გურულები „ადესას“ (იზაბელას) შემყურე. გული გვიკვდებოდა ჩხავერის მოუგონით და არ ვფიქრობდით, თუ ოდესმე მის გამრავლებას ვეღირსებოდით.

მაგრამ თურმე ადამიანის ცოდნას ბუნებასთან ბრძოლა შესძლებია. ეს სამი წელიწადია, რაც ძმათა შარაშიძეთა სოფ. ციხეს დაარსეს კერძო სკოლა სამეურნეო განყოფილებით. ამერიკის ვაზზე ამყნეს ჩვენებური (გურული) ჯიშები. ჩვენდა სასიხარულოდ, ყველამ საუცხოვო ნაყოფი გამოიღო. ძველი კაცები, როცა სკოლის ვენახს ათვალიერებენ, აღტაცებაში მოდიან და ძველს დროს იგონებენ. შარაშიძის ვენახი მთელის მხრისათვის მისაბაძი შეიქმნა და სკოლამ თავის ეზოს გარედაც შესანიშნავი ნაყოფი მოიტანა. საზოგადოდ, გურული მიმბაძველია და, აბა, რა გასაკვირველია, რომ შარაშიძის მაგალითისთვის მიებაძნათ.

საბედნიეროდ, ასეთი მიბაძვა ყველგან ნაყოფიერი გამოდგა. მსურველი კიდევ მეტია, მაგრამ დამყნილის ვაზის შოვნა ძლიერ გასჭირდა და თან ძვირადაც ჯდება. ამისათვის სკოლის ვენახის გამგემ აგრონომმა აღექ. დავ. შარაშიძემ განიზრახა შეადგინოს გურულ მევენახეთა ამხანაგობა **„ჩხავერი“**. ამხანაგობის უმთავრესი აზრი და დანიშნულება იქნება—გამართოს სამაგალითო სავენახე დ̃ გაამრავლოს მოვარჯიშე მოსწავლენი. ამყნოს ამერიკის ვაზზე სხვა-და-სხვა გურიისათვის გამოსადეგი ჯიშის ვაზი და, ამხანაგობას როგორც დაუჯდება, ისე მიაწოდოს თავისს წევრს. ამხანაგობამ უნდა იყოლიოს [illegible] მევენახე (ინსტრუქტორი), რომელმაც წევრებს უნდა დაურიგოს ვაზი და მის მოვლას ადევნოს თვალ-ყური და სხვ.

რასაკვირველია, ეს აზრი ძრიელ სიმპატიურია და, ეჭვი არ არის, მისი განხორციელება სკოლაზე ნაკლებს ნაყოფს არ მოიტანს. იმედია, გურულ მევენახეობის მიმდევარნი მხარს მისცემენ ბ-ნ შარაშიძეს ამ კეთილ საქმეთა დაგვირგვინებაში და მთელის თავისის ძალ-ღონით დაეხმარებიან.

სულით და გულით ვურჩევთ ყველა გურულს, ვისაც არ უნახავს ძმ. შარაშიძეთა სკოლა, ჰნახოს და ისიამოვნოს.

კავკასია

ყარსი. გეოგრაფიული მდებარეობა ყარსისა მოსაწონი არ არის. გარშემო სულ მოტიტვლებული მინდვრები და გორები არტყია. თვით ყარსი ამ მინდორ-გორებ შუა ჩავარდნილია. ყარსს შუა ჩამოუდის კარსჩაი, რომლის მარცხენა მხარეს არის შესანიშნავი ციხე. ვინც ყარსში ყოფილა, იმას ადვილად წარმოუდგება თვალ-წინ, თუ რამდენად ძველი დროის შენობებია კარსჩაის მარცხენა მხარეს გაშენებული სახლები. კარსჩაის მარცხნივ მხარეს-კი, რაც შენობებია, სულ ევროპიულს ყაიდაზე აშენებული.

გორ-მინდვრებს შუა მდებარე ყარსს არ აკლია ქარ-ბუქი. ხან-და-ხან ისე ღონივრად ამოვარდება ხოლმე ქარი, რომ მთელს ქუჩებს ქალაქისას გასწმენდავს, გაასუფთავებს. იშვიათია, რომ ყარსში დაწყნარებული ამინდი იყოს და ცხოველ-მანათობელი მზე თავისს ცეცხლ სხივებს თავისუფლად აკაშკაშებდეს მას არეზე. თითქმის მუდამ დღე ქარი და მასთან საგრძნობელი სიცივეებია ხოლმე აქ. წარსულ მარიამობისთვის 27-ში, შუადღის ხანს, მოწმენდილს ცაზე ისეთი ღონიერი ქარი ამოვარდა, რომ მთელი ქალაქი მხოლოდ ქარ-ბუქმა მოიცვა, კაცი კაცს ვეღარ გაარჩევდა, საამტვერა მთელი ქუჩები.

ყარსის ადგილობრივ მცხოვრებთა შორის უმეტეს ნაწილს შეადგენენ მხოლოთ ბერძნები და სომხები, დანარჩენი ეროვნების ხალხი-კი ცოტაა, მაგალითად: რუსები და ქართველები. ეს უკანასკნელნი, ვინც-კი არიან აქ, მხოლოდ სამსახურის ხალხია, ადგილობრივ მცხოვრებლებათ კი ესენი ძალიან ცოტანი არიან. ყარსში კარგა ბლომა ინტელიგენცია მოიპოვება, რომელთა ერთად-ერთი გამართობელი მხოლოდ წარმოდგენებია. წარმოდგენები, თითქმის, მუდამ კვირა იმართება რუსულად (შემთხვევა ყოფილა, რომ ყარსში ქართული წარმოდგენები გაუმართავთ). ყარსშივეა ორი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ერთი შეადგენს სომხთა საზოგადოების კუთვნილებას და მეორე ქალაქისას. ერთშიაც და მეორეშიაც კარგა ბლომა ჟურნალ-გაზეთობა მოსდით.

სომხურ სამკითხველოს მოსდის მრავალი სომხურ-რუსული გაზეთები და ქართული-კი არც ერთი. ამის მიზეზი ვკითხე ბიბლიოთეკარს. მან მითხრა: „ბ-ნო, გვქონდა ქართული გაზეთებიც გამოწერილი, სახელდობრ: „ცნ. ფურც.“, „მოამბე“, „კვალი“ და „ივერია“, მაგრამ, რადგან ქართველი მკითხველი არავინ აღმოუჩნდა, ამისთვის აღარ გამოვიწერეთო“. აქაური ქართველობა, როგორც მითხრეს, თურმე უფრო რუსულ ჟურნალ-გაზეთობის კითხვას ეწყობა...

ყარსში, როგორც ქუთაისში, წელს გაიმართა სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის საპედაგოგო კურსები. კურსებზე მოწვეულნი არიან მთელის ერევნის ეპარქიის სამრევლო სკოლის მასწავლებელნი. კურსებზედ ამ ჟამად დაიარება 83 კაცი, ამათში ორმოცი კაცი მასწავლებლები არიან. დანარჩენები ზოგი მღვდლები, ზოგი მთავრები და ზოგნიც მედავითნეები. ამ 83 კაცში მხოლოდ ორი მასწავლებელია ქართველი (ერთი კახეთიდგან არის მოწვეული, მეორე გორიდგან), დანარჩენები ზოგი ბერძნებია და ზოგი აისორები. კურსები დაიწყო 25 მარიამობისთვეს. კურსები რომ დასრულდება, ყველა კურსისტები წავლენ ტფილისს საეკლესიო მუზეუმის და სიონის ტაძრის დასათვალიერებლად.

კოტე ალაზნის-პირელი.

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიზში მოუთმენლად მოელიან საპარლამენტო სესსიის გახსნას. გაზ. „Petite Republidue“-ში სოციალისტი უ. ჟორესი აცხადებს, სოციალისტ დეპუტატებს განზრახვა აქვთ წინადადება შეიტანონ პალატის პირველსავე სხდომაზედ, რომ ყველგან გააკრან უმთავრესი მუხლები ნანტის პროცესისა, სახელდობრ—გენერალ ფრატერის მიერ დეპეშით გადაცემული ბრძანება, პოლკოვნიკ ს. რემოს პასუხი და სამხედრო სასამართლოს განაჩენი. „ჯარის-კაცთ უნდა იცოდნენო—ამბობს ჟორესი—რა მნიშვნელობა აქვს სიტყვა „დისციპლინა“-ს, სადაა დასაბამი დამოუკიდებელ, თავისუფალ მსჯელობის უფლებისა და სად თავდება მორჩილების საზღვარიო“.

ამბობენ, დეპუტატნი დენი კოშენი და ვილბუა შინაგან საქმეთა სამინისტროს შეეკითხებიან იმის შესახებ, თუ რა მიზეზია ელჩების—დე-ნოაილისა დ̃ დე-მონტებელლოს სამსახურიდგან გადაყენებისაო.

გერმანია. იმპერატორ ვილჰელმ მე-II-ის მიერ პოზნანში წარმოთქმული სიტყვა პოლონურმა გაზეთებმა არ დაჰბეჭდეს; ამის გამო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ეს სიტყვა გაკრულ იქმნას ყველგან ქალაქისა და პროვინციის თვალსაჩინო ადგილებში, რათა მცხოვრებთ შეეძლოსთ მისი წაკითხვა.

დიდად საგულისხმოა, რომ გერმანიამ პირველად მიჰმართა ამ საშუალებას თავის იმპერატორის სიტყვების გასავრცელებლად.

ავსტრია-უნგრეთი. „Temps“-ის პარიჟელ კორესპონდენტს შეუტყვია ზოგი რამ ბუდაპეშტში მომხდარ ავსტრიისა და უნგრეთის მინისტრების მოლაპარაკების შესახებ.

მთელის ორი კვირის განმავლობაში გამუდმებულად მუშაობდნენ და, თუმცა საბოლოოდ ვერ შესთანხმდნენ, მაგრამ რამოდენადმე მაინც წასწიეს წინ საქმე. ავტონომიურ ბაჟის საკითხში ბევრი რამ დასთმო ორთავე მხარემ. ავსტრიამ დაუკლო წარმოებითის მრეწველობის გადასახადს, უნგრეთმაც სამაგიეროდ უარჰყო თავისი დაჟინება სამეურნეო საგნებზედ დიდ გადასახადისა. საქმე ისე მიდის, რომ, ალბად, ახალ გერმანულ გადასახადებს დაუახლოვდებიან ავსტრიაცა და უნგრეთიც. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა გადაუწყვეტელი. იმედი აქვთ, რომ მომავალ კვირაში დანიშნულ სხდომაზედ იმპერატორის მეოხებით საბოლოო შეთანხმება მოხდებაო. შეთანხმების პროექტი ავსტრიის პარლამენტს წარედგინება მხოლოდ მას შემდეგ, როცა 1903 წლის ბიუჯეტი დამტკიცდება. კერბერს მიტომ აურჩევია ეს დრო, რომ ამ ხნის განმავლობაში იმედოვნებს ჩეხებიც დაიყაბულოსო.

— დოქტორ კრასოვს—ავსტრია-უნგრეთის სერბთა რადიკალურ დასის მოთავეს—შემდეგი დეპეშა გაუგზავნია სერბიულ გაზეთ „Србобран“-ის რედაქტორისათვის:

„სერბიის ხალხი და მასთან ერთად მთელი განათლებული ქვეყანა აღელვებ და აღაშფოთა მხეცურმა თავდასხმამ ზაგრების სერბებზედ. ჩვენ თავს არ დავზოგავთ, რომ აღდგენილ იქმნას უდანაშაულო სერბების შეუბრალებლად განადგურებული უფლებანი“. გაზეთ „„Застава“-ს სიტყვით, ეს ტელეგრამმა ზაგრების ცენზურას დაუჭერია.

შეერთებული შტატები. გაზეთ „New-Iork Herald“-ი იუწყება, დიდ-დიდი ამხანაგობანი (ტრესტები) შეთქმულობის მოხდენას აპირებენ, რომ პრეზიდენტ რუზველტის მათ წინააღმდეგ ამხედრებას ფრთები შეაკვეცონო. როდესაც პრეზიდენტმა ხმა აიმაღლა ტრესტების შესახებ და შეეხო რესპუბლიკის ისეთ გავლენიან სახელმწიფო მოღვაწეთ, როგორც პირმონტ მორგანი, პლატტი და სხვები არიან,—ჯერ განიზრახეს მშვიდობიანის საშუალებით ემოქმედნათ მასზედ, დაერწმუნებინათ იგი, რომ შემცდარი იყო, როცა ტრესტზედ თავისუფალ ფედერალურ კანტროლის დანიშვნის საკითხი აღძრა; მაგრამ როცა ამ საშუალებამ არ იმოქმედა, მუქარას მიჰყვეს ხელი.

„Herald“-ის სიტყვით, რუზველტისათვის შეუთვლიათ, ნუ ჟინიანობ, ნუ გვეწინააღმდეგები, თორემ 1904 წლის არჩევნებზედ უეჭველად გაგაშავებთო. რუზველტს უპასუხნია, ჩემი მოქმედება სამართლიანად მიმაჩნია და ამისათვის არც მომავალისა მეშინიანო. გაზეთი თავის მხრივ დასძენს, რომ დიდი პოლიტიკური შეტაკება მოხდება მომავალ არჩევნებზედაო. შესაძლოა, რომ თვით რესპუბლიკელთა დასი გაიყოს ორ ბანაკადაო.

რუმინია. როგორც „Indenpendance Roumaine“-ი იუწყება, ამ ჟამად რუმინიაში მართლ-და ებრაელების საკითხი გამხდარა სალაპარაკოდ. რუმინიის ებრაელები იმდენად იყვნენ შევიწროვებულნი ყოველის კუთხით, რომ მათი აუტანელი მდგომარეობა სწორედ კაცს გააოცებდა. ამ ბოლოს დროს ისე გაუჭირდათ საქმე, რომ განიზრახეს სხვა სახელმწიფოებში გადასახლება. მხოლოდ ეხლა მიაქცია მათ ყურადღება ზოგიერთმა დიდმა სახელმწიფომ, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ რაიმე მფარველობა გაუწიოს მათ,—არა, ვაი თუ ჩვენს ქვეყანაში მოინდომონ გადმოსახლებაო.

გაჭირვებულისადმი თანაგრძნობაც ასეთი უნდა!

ინდოეთი. „Daily Mail“-ს დეპეშით ატყობინებენ ბომბეიდგან, რომ ინდოეთის ზოგიერთს ოლქებში მეურნე ხალხი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილიო. მაგ., ბომბეასა, გუჯურატსა, ნაგპურისა და ჰაიდერბადის ოლქებში 500,000 ოჯახობას მაინც ეჭირვება დახმარებაო. პურისა და ბამბის ნათესობა გვალვამ გააფუჭა. მოსავლის იმედი სრულიად არა აქვთო. მთავრობას დიდი მეცადინეობა და ბევრი ხარჯის გაწევა დასჭირდება დამშეულთა გამოსაკვებად, რომელთა რიცხვიც, როგორცა სჩანს, მილიონს აღემატება.

ვის მორევში, მაგრამ ბუნებითვე დაყოლებული მორიდება აკავებინებდა ორივეს თავს მორცხვობითა და მორიდებით. ამიტომ დიდხანს ვერა ჰბედავდნენ ვერც ერთი ხმის ამოღებას და შეჰყურებდნენ ერთმანეთს ისე, თითქო დამნაშავენი არიანო, გაჰბუტებიან რაღაც მძიმე საქმისათვის ერთმანეთს და, მოწადინენი შერიგებისა, ვერ გასტეხიან ერთი მეორესო. ბოლოს ვაჟმა ვეღარ შეიმაგრა თავი, რაკი დაიგულა თავისათ ქალი და მიეცა გაბედულობა, უფრო იმიტომ რომ, ნათლიას შესცივდა, საბანი წაიფარა და ეგონა დაეძინაო. ვაჟმა დაუწყო ქალსა:

— გაიგონე, ღვდელმა რაები დაგვარიგა?—ჰკითხა ბარნომ გულის ძაგძაგით ქალსა, კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ.

ქალმა, რომელიც ხამი იყო უცხო კაცთან ლაპარაკსა, თავი ჩაღუნა და მორცხვობით ანიშნა, გავიგონეო.

— ჩვენ ეხლა ერთნი ვართ,—დაიწყო კიდევ ვაჟმა უფრო გაბედვით და დაუწყო გულმა უფრო ბაგა-ბუგი.

ქალს კიდევ შერცხვა და თავი უფრო ჩაღუნა ძირსა, ლოყები აენთო თონესავით და დაიწყო იმის გულმაც ცემა, იმის გულისცემა შეუერთდა ვაჟის გულის ბაგა-ბუგსა.

რაკი დარწმუნდა ბარნო, რომ ნათლიას დაეძინაო, გამბედაობა უფრო მიეცა და მოჰხვია ქალს ხელი.

ქალს ეს-კი სრულებით ეუცხოვა და დაუწყო ხელით წინააღმდეგობა; საშინლად შემკრთალი, უსიტყვო საყვედურით იშორებდა თავიდან ვაჟის ხვევნა-ალერსსა.

ვაჟს სრულიად აემღვრა გრძნობა და აღარაფერი აღარ ახსოვდა ამ ქვეყნად.

— ჩემო სიცოცხლეო, ჩემო ანგელოზო!—სთქვა იმან გრძნობით და დაეკრა ქალს ტუჩებში, დაეკრა, სწუწნა და აღარ უშვებდა, თითქო სულ უნდა ამოსწოვოს, რაც რამ სიტკბოა იქ ბუნებისაგან ჩათაფლულ-ჩაზავებულიო.

ქალი სულ გაწითლდა ჭარხალივითა და შერცხვა მეტის-მეტად. შერცხვა უფრო იმიტომ, რომ ნათლია მძინარე არ ეგულებოდა.

ამ დროს მე ვეღარ გავძელ წოლა და წამოვდექ. ქალი და ვაჟი დაშოშმინდნენ ისევა და დაუწყეს ისევ ერთმანეთს გაბუტული ცქერა, თითქო ხელ-ახლად შემოსწყრნენ კიდევ ერთმანეთსაო.

აქასობაში ურემმა მიატანა კავთისხევსა და ჩვენმა მაყრებმა, კარგა უკან დარჩენილებმა, შემოსძახეს მაყრული.

კავთისხევში რაღაცა ფაცა-ფუცი შეუდგათ.

ჩვენმა ურემმა მშვიდობიანად და თითქმის შეუმჩნევლად გაიარა კავთისხევის გზა და გასცდა კარგა შორსა.

მაყრებმა, რაკი მიატანეს კავთისხევს, მოუმატეს მაყრულსა, რადგან სირცხვილი იქნებოდა, რომ მეფიაანთ სოფელში უსიმღეროთ გაევლოთ.

— ჩუთ, მაიცა,—დაიძახა უცებ გელიტაანთ მიხამ და შეაყენა ცხენი.

— რა ამბავია?—იკითხეს ერთხმად უცებ შემკრთალმა მაყრებმა და შედგნენ ყველანი.

— არიქა, ჩხუბი უნდათ, მგონი, გზაზედ გადაგვიდგებიან. აბა, უყურეთ იმათ კეტებსა.

— ერიჰაა!—აბა, ჩქარა, მოვემზადოთ ჩვენცა!—შესძახა გიგამ გულ-გახეთქილმა.—კიდევ კარგია, ურემი შორს იყო წასული.

ყველანი ერთ წუთში გადმოხტნენ ცხენებიდგან, შეცვივდნენ იქვე ახლო ერთ ვენახში, დაითითოვეს ყველამ ახალი დაჩეკილი სარები, რომელიც უფრო მაგარი იყო და მოემზადნენ საჩხუბრად.

— ვინც შეუშინდება და გაქცევას მოინდომებს, ამ კეტს შიგ თავში დავთხლეშამ.—დაუძახა მიხამ მრისხანედ ამხანაგებსა.

— ოც და ათამდის კაცსა, გინდა მთელი სოფელი დაგვედოს, რას გვიზამენ,—გაუკეთეს გული ერთმანეთს მაყრებმა და გაუდგნენ გზასა.

— სად მოხვალთ აქეთ, სადა?—შემოსძახეს მრისხანედ უცებ კავთისხეველთ და გამოქანდნენ.

თუმცა ხიფათი მოსალოდნელი იყო, მაგრამ მაინც ჩვენი მაყრები, ღვინისაგან შეხურებულები ისე სასტიკად მიეტივნენ კავთისხეველთა, რომ მაშინვე შეაჩერეს ერთ ალაგას.

— აბა, დადექით მანდა!—დაიჭექა უცებ გელიტაანთ მიხამ და გაქანდა პირდაპირ უშიშრად, იმას მიჰყვნენ დანარჩენნიცა.

კავთისხეველებს ხანჯლებიცა ჰქონდათ, მაგრამ ჩვენის მაყრების გძელ სარებს ხანჯალი ვერ უდგებოდა და მაშინვე მოკურცხლეს შეშინებულთ. ხოლო ზოგი ღვინო-დალეული არ აპირებდა გაქცევას, მაგრამ, რაკი ნახეს, რომ რამდენსამე გაუტყდა თავი—იკადრეს იმათაც დაძვრა და გარბოდნენ, ვინ ვის გაასწრობდა. მაგრამ გელიტაანთ მიხა არ აპირებდა აგრე ადვილად იმათ თავის დანებებას და შეჰყვა შიგ სოფელში. აქ უცებ მოიმწყვდიეს რამდენმამე და შემოურბინეს გარშემო. მიხა იქნევდა სახრეს, რაც შეეძლო და იგერებდა გარეშემორტყმულთა. ამ დროს მოსცვივდნენ მიხას მოსაშველებლად სხვა მაყრებიცა და დაუშინეს სარები.

შეიქნა გაცხარებული ჩხუბი.

ძაღლების ყეფამ მოიცვა იქაურობა.

დედაკაცების წივილ-კივილი ადიოდა ზეცასა.

უცებ გაჩნდა საიდამღაც მამასახლისი თავის კანდიდატით და გზირითა. გაცხარებული მოვარდა იგი გასაშველებლათ, მაგრამ მოხვდა იმასაც კეტი თავში და გაიქცა ისევა. ამ დროს ეთრმა ვიღამაც გამოარბევინა თოფი შინიდამ და დაუმიზნა მიხას, მაგრამ, მანამ ის ჩახმახს შეაყენებდა ფეხზე, მიხამ შემოუქნია გძელი სარი და გააგდებინა თოფი ხელიდამ. მეთოფემ ფეხაქანი შეიტანა შინა.

პატრა ხანს უკან გარბოდნენ ყველანი თავ-თავიანთ სახლებში, ზოგი თავ-გატეხილი, ზოგი მკლავ ჩამოვარდნილი.

ჩვენმა გამარჯვებულმა მაყრებმა შემოსძახეს მაყრული და გამოაჩქარეს ურმის მოსაწევად.

ურემში ბარნო ვერ დავიკავე და გაიწია საშინლად მისაშველებლად, მაგრამ დაიკავა თავისმა ახალმა სატრფომ. იმან უნებლიედ მოჰკიდა ხელი ბარნოს ჩოხის კალთასა და ბარნო გაშეშებულივით დარჩა ურემში, როგორც ორ წყალ შუა.

ამასობაში მაყრებიც დაგვეწივნენ.

— რა ამბავი იყო, კაცო?—ჰკითხა ბარნომ შორიდანვე მომავალ მაყრებსა.

— რაღა რა ამბავი იყო, თავ გაუტეხელი თუმცა არავინ წავიდა, მაგრამ არც ჩვენა ვართ ნაკლებ დაბეგვილი.

— რათა, კაცო, რის გულისთვის?

— გავლაზე რომ დაგვედევნენ და კაი ამბავი წაიღეს, იმისთვის.

— ხომ ახლაც არა ნახეს მერე მოგება?

— ღვთის წყალობა გაქვს, ჩვენ იმათ ვაყოფინეთ.

— მერე, მაგ გზაზე ხომ აღარ გაგვევლება?

— ჯერ ერთი რომ სხვა გზაც არის, მეორეც ისა, რომ მთვრალებს რაღა დაახსოვდებათ.

— განა, მთვრალები იყვნენ?

— მთვრალები იყვნენ, მარა! ქორწილი-კი გათავებული ჰქონდათ, მაგრამ ალბად ღვინო კიდევ გადარჩენიათ ქორწილსა.

ბარნომ ამ ამბავზე კმაყოფილებით გაიქნია თავი და დაიწყო რუსულად ლაპარაკი, რადგან გაეგონა, რომ რუსული ენაც არის, თუმცა თვითონაც არ იცოდა რას ამბობდა.

— Вотъ, что такой, знаишь?—ამბობდა ღიმილით რუსულსა.

პატარძალმა ძლივს პირდაპირ შეჰხედა თვალებში გაკვირვებულმა, რადგან ეგონა, რომ ჩემი ქმარი ნასწავლი ყოფილაო და გაეხარდა.

ამასობაში ბინდმაც მოატანა.

ჩვენს პატარძალს მოუსვენრობა დაეტყო, ეტყობოდა გადასვლა უნდოდა ურმიდან, მაგრამ ვერას ამბობდა.

რა შევატყე ესა, შავაყენებინე ურემი და გადავიყვანე ურმიდამ.

ჩვენ მოვეფარეთ.

ბარნომ მოინდომა, არ მოჰშორებოდა, მაგრამ არ გაუშვით.

— კაცო, რატო დობილი არავინ გამოაყოლეს თანა, ამოდენა გზაზე მარტო ქალი ცოდო არ არის?—ჰკითხა ჩუმად ერთმა მაყარმა მეორეს.

— რა დობილი უნდოდა, როცა ორ-ორი ძმა წამოჰყვა თანა.—უპასუხა მეორემ.

ცოტა ხანს უკან პატარძალი ისევ ურემში ჩავსვით.

მაყრებმა გაახურეს მაყრული და გავწიეთ კვლავ.

შორს, სიბნელეში, გამოჩნდა ახალციხიდგან სანთლის შუქი.

გ. ხეჩუაშვილი.

(დასასრული იქნება)

ინგლისი. ჩემბერლენთან მეორედ მოლაპარაკების დროს ბოტას შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგენია მისთვის:

1) გათანაბრება ინგლისურ და ჰოლანდიურ ენებისა სკოლასა და სასამართლოში.

2) სრული თანასწორობა ინგლისელთა და ბურგერთა.

3) გაადვილება ბურებისათვის ტრანსვაალს დაბრუნებისა და უკანვე დაბრუნება მათთვის იმ მამულებისა, რომელიც სახელმწიფოთ იყო ჩარიცხული.

4) განთავისუფლება ტყვე ბურებისა.

5) საზღაურის მიცემა ორსავე რესპუბლიკის მოხელეთათვის, რომელთაც სამსახური დაჰკარგეს.

6) დახმარების აღმოჩენა ყველასათვის, რომელთაც რაიმე დაჰკარგეს ომიანობის გამო.

7) უკანვე დაბრუნება პატრონებისთვის სახელმწიფოდ ჩარიცხულ ფერმებისა;

8) გარდახდა რესპუბლიკების ვალებისა და მათი სამხედრო ხარჯებისა.

9) უარყოფა ნატალის რესპუბლიკისა ორანჟეს შეერთების პროექტისა.

10) გაგრძელება იმ პირობათა ვადისა, რომელიც ბურგერებმა უნდა შეუსრულონ მთავრობას.

გარდა ამისა ბოტამ, ბურების გენერლების სახელით, პროტესტი განაცხადა, მეფის ერთგულებაზედ ფიცს არ მივიღებთო.

ხვალ მოვიყვანთ ჩემბერლენის პასუხს.

წერილები

რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

იმედი გვაქვს ნებას მოგვცემთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ორიოდე სიტყვა გვთქვათ უმაღლესად ნაბოძებ ფულის განაწილების შესახებ.

როგორც „ცნ. ფურცლის“ № 1910-ში ამოვიკითხეთ, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან ამორჩეულ კომისიას გაუნაწილებია ეს ფულები. როგორც ჩვენ, ისე ყველა ჩვენმა ამხანაგებმა, წავიკითხეთ-რა ხსენებული გადაწყვეტილება, დიდად გავოცდით. ვერ წარმოგვიდგენია, რითი ხელმძღვანელობდა პატივცემული კომისია, როცა ამ ფულებს მხოლოდ სტიპენდიებს ახმარდა (ვერ ვიტყვით, რომ ეს სასარგებლო არ იყოს, მაგრამ ამაზე კიდევ უფრო სასარგებლო საქმე უყურადღებოდ დასტოვეს). ბევრი სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა უმაღლესად ნაბოძებ ფულების განაწილების შესახებ, როგორც შარშან, ისე წრეულს. უმეტესობა სამეურნეო სკოლას და ქალთა სასწავლებელს ასახელებდა. ჩვენის აზრით, ეს უკანასკნელი ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვინემ სტიპენდიები. აქ არ ჩამოვთვლით იმ მიზეზებს, რომლის გამო ჩვენ არ თანაუგრძნობთ სტიპენდიების დაარსებას, რადგან ეს უკვე გამოსთქვეს ამ მოკლე ხანში ჩვენმა გაზეთებმა. რა საჭირო იყო ქალების განცალკევება? უმაღლესად ნაბოძები ფული, როგორც ვაჟთათვის ისე ჩვენის დებისთვის თანასწორად უნდა გაეყოთ, გულუხვს კომისიას-კი უმაღლეს სწავლის მიღების მსურველ ქალთათვის მხოლოდ ხუთი სტიპენდია დაუარსებია. ნუ-თუ ეს გადაწყვეტილება სამართლიანია? ვაჟები, შედარებით, უფრო კარგს პირობებში ვართ. გვაქვს სათავად-აზნაურო სკოლა. ამას გარდა, მამები უპირატესობას უფრო ჩვენ გვაძლევენ, უკანასკნელ გროშსაც არ იშურებენ იმისთვის, რომ რაიმე ცოდნა შევიძინოთ. ჩვენი დების უმეტესობა-კი სახლში რჩება და მოკლებულია იმ გონებრივს საზრდოს, რომელიც ეხლანდელს დროში ყველასათვის, განურჩევლად სქესისა, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ძლიერ სასურველი და სასიხარულო იქნებოდა, რომ ყველა ეს ფულები ქალთათვის გადაედვათ და დაეარსებინათ მათთვის იმისთანა სასწავლებელი, რომელიც აღგვიზრდიდა ნამდვილს დედებს და დიასახლისებს.

დ. ნემსაძე.
ვ. მჭედლიშვილი.
პ. ჯანელიძე.
ი—ნა კ—ნი.

II

აგვისტოს რვას ქ. თელავში ბ-ნი მონადირიშვილის მეთაურობით და ლოტბარობით ჩემის ავადმყოფის ძმის ლადო აღნიაშვილის სასარგებლოდ გაიმართა კონცერტი. კონცერტის გამგეობა და თავდარიგი იტვირთა ქ-ბ-ნ თეკლე ი. ცისკარაშვილისამ. მონაწილეობა მიიღეს: კნ. ნ. ზ. ჯორჯაძისამ, ქ-ბ შიუკაშვილისამ, ბ-ნმა სურამელმა და ბევრმა სხვამ. წმინდა შემოსავალი ამ კონცერტისა ყოფილა 100 მან., რომელიც ქ-ბ-ნ თეკლე ი. ცისკარაშვილისამ გადმომცა მე ავადმყოფის სასარგებლოდ.

ამიტომ სამღრთო მოვალეობად მიმაჩნია ჩემი ულრმესი მადლობა გამოვუცხადო საქვეყნოდ ყველა ზემოხსენებულთ და განსაკუთრებით ბ-ნ ი. მონადირიშვილს, როგორც დაუზარელ მოღვაწეს საქველ-მოქმედო ასპარეზზედ და ქ ბ. თეკლე ი. ცისკარაშვილისას დიდის შრომისა და გარჯისათვის.

ილიკო აღნიაშვილი.

P. S. დიდს მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ბლაღოჩინ-დეკანოზს მ. ისააკ იორდანაშვილს რომელმაც ავადმყოფ ლადო აღნიაშვილის მოსახმარებლად გამოგზავნა 5 მან. და რომელიც მივიღე „ივერიის“ რედაქციისაგან.

ი. ა.

მადლობის გამოცხადება

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ დაწესებულებათა და პირთ, რომელთაც თანაგრძნობა და სამძიმარი გამომიცხადეს ჩემის ძვირფასის მეუღლის ავქსენტი ცაგარლის გარდაცვალების გამო დეპეშით, წერილებით და სიტყვიერად; აგრეთვე ყველა მათ, ვინც დაესწრო განსვენებულის დასაფლავებას.

ნატალია გაბუნია-ცაგარლისა.

დაგვიანებული ცნობა.

არტისტის ქალის მაჰაიანის შესახები ამბავი, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთშია დაბეჭდილი, როგორც გადმოგვცეს წუხელის, როცა უკვე ნახევარ ნომერი გაზეთისა დაბეჭდილი იყო, სიმართლეს მოკლებულიაო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

4 სეკდემბერი.

ვისბადენი. აქ მობრძანდა დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასული.

ჩერნიგოვი. გუბერნატორი წავიდა სადგურს ნიზოვკას დასახვედრად შაჰისა, რომელიც მანევრებზედ დასასწრებლად მიდის.

მოსკოვი. სალდატენკოვის ანდერძის ამსრულებელთ გამოუცხადეს საბჭოს, რომ შევიტანეთ 1.200,000 მანეთი ასაგებად ქსენონისა ღარიბთათვის მათის წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლადაო.

ბიზერტა. რესპუბლიკელთა კლუბის ბანკეტზე პელტანმა გამოაცხადა, რომ მე მომაწერეს სიტყვა, რომელიც არ მითქვამსო. მაგალითებრ, მე, ერთს უკეთესს მეგობარს იტალიისას, მომაწერეს იტალიის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ლაპარაკიო.

რომი. გაზეთის „პატრიას“ სიტყვით, იტალიელთა საფოსტო კანტორა იანინს მუშაობს განუწყვეტლივ მას შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლში მოსპობილ იქმნა დაბრკოლებანიო.

პეტროზავოდსკი. საერობო აგრონომების ბჭობამ სასურველად სცნო საერობო საბჭოებში აგრონომიულ ბჭობათა დაწესება და დამართვა გუბერნიაში ფერმებისა და სკოლებისა.

მოსკოვი. დღეს აკურთხეს მოსკოვის პირველი კომერციული სასწავლებელი, ვიაზემსკის მიერ დაარსებული.

ბიზერტა. მუნიციპალიტეტმა ფუნჯზე რომ მიიწვია პელტანი, ალჟირსა და ტუნისს მიესალმა, როგორც გააფრიკანებულს საფრანგეთს. ბიზერტა ახალ კართაგენად გადიქცევა. გარნა მოშორებული იქნება კართაგენურ ბიწიერებასა და ულმობელობასაო. „ჩვენაო,—სთქვა პელტანმა,—არ გვინდა ვიოცნებოთ მსოფლიო მფლობელობისათვის, გარნა ეს ნაწილი ხმელთა შუა ზღვისა საფრანგეთისად უნდა დარჩესო. ბიზერტის მფლობელობით შეგვეძლება დავიცვათ ღია კარი ხმელთა შუა ზღვის ორისავე ნახევრისა, მიუხედავად მალტისა და ჰიბრალტარისა“. მან დასძინა კიდევ, რომ მე არა მსურს მებრძოლობა არც ინგლისთანა და არც იტალიასთან, გარნა ჩემი ვალია მზად ვიყო საღმრთო ომისათვის წინააღმდეგ სამშობლოს მტრებისა. მე-XIX საუკუნის დასასრულს, როდესაც საფრანგეთი დამარცხდა ძველის გერმანიის ბარბაროსობით, ყველამ დაინახა მუშტის უფლების დაბრუნება დიდის რიხითა. მთელს მსოფლიოს სახელმძღვანელოდ შეექმნა პრინციპი: „ძალა ბატონობს უფლებაზედაო“. „ჩვენაო,—დაასკვნა პელტანმა,—უნდა ვიხმაროთ ყოველი ღონისძიება, რომ ხელშეუხებლივ დავიცვათ კერა სიმართლისა და განათლებისა. ეს კერა საფრანგეთის გენიოსობააო“.

5 სეკდემბერი.

კურსკი. სადილის დროს ხელმწიფე იმპერატორმა აიღო ჭიქა და წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „ბედნიერი ვარ, რომ შემიძლიან პირის-პირ მოვულოცო თქვენს უდიდებულესობას დღე თქვენის დაბადებისა. ვსვამ თქვენის უდიდებულესობის სადღეგრძელოს, თქვენის მეფობის დიდებისას, სპარსეთის აღყვავებისას და მისის სამეგობარო რუსეთისადმი ურთიერთობის განვითარებისას“. ამ სადღეგრძელოს შემდეგ დაუკრეს სპარსეთის საერო საგალობელი. ამ სადღეგრძელოს პასუხად მისმა უდიდებულესობამ წარმოსთქვა სპარსულად შემდეგი სადღეგრძელო: „ვსარგებლობ შემთხვევით, რომელიც ღმერთმა მიბოძა და მადლობას ვუძღვნი თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას უპირველეს ყოვლისა ჩემდამო გამოთქმული სათნო გრძნობათათვის ჩემის სადღეგრძელოს მირთმევისათვის; შემდეგ მადლობას გიძღვნით იმ კეთილად, თანაგრძნობით და სიამოვნებით მიღებისათვის, რომელიც მე თქვენს იმპერიაში აღმომიჩინეს. იმედი მაქვს, რომ ის საკვრელნი, რომელნიც აკავშირებენ ორსავე ქვეყანას და რომელნიც უკვე ესდენ მტკიცენი არიან, უფრო განმტკიცდებიან შემდეგ. ვსვამ თქვენის უდიდებულესობის, მათ უდიდებულესობათა — იმპერატრიცების და თქვენს უავგუსტოესის სახლეულობის სადღეგრძელოს. ვისურვებ თქვენის მეფობის ბედნიერებას, დიდებასა და ხანგრძლივობას, თქვენის სახელმწიფოს კეთილ-დღეობას.

კურსკი. ბედნიერება ჰქონდათ წარდგენოდათ ხელმწიფე იმპერატორს დეპუტაციები გლეხთა რიშკოვო სამამასახლისოს სოფ. ნოვოსელოვისა.

კურსკი. მორიგეებად ხელმწიფე იმპერატორის წინაშე 4 სეკდემბერს იყვნენ დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის-ძე, გენერალ-მაიორი მოსოლოვი და თავადი ენგალიჩევი. შაჰის წინაშე დანიშნულ არიან იმყოფებოდნენ გენერალ-მაიორი ნიკოლაევი და ფლიგელ-ადიუტანტი გრაფი შუვალოვი.

პეკინი. კონჯერმა გადასცა მთავრობას 20 ივლისის თარიღით. დაწერილი წერილი მისიონერის კენრაიტისა. წერილში აღწერილია ამოწყვეტა ჩინეთის მკვიდრ ქრისტეანეთა ჩენგთფუს (შეჩუანის პროვინციაში) ივლისში, 1902 წ. 11 ქრისტეანი მოუკლავთ ბოქსერებს. ჩინეთის მოხელეთ იუარეს და არავითარი ღონის-ძიება არ მიიღეს მათ წინააღმდეგ. ამას წინად მოსული დეპეშა იუწყება, რომ საქმეთა ვითარება უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაშია ახლაო.

კურსკი. 4 სეკდემბერს, უმაღლესის საუზმის დროს რიშკოვოს, უკრავდა რამდენიმე ხორო მუსიკისა და ამბობდნენ ხიმღერებს მომღერალნი ვოლოგდისა და თერგის ყაზახთა პოლკებისა.

კურსკი. 4 სეკდემსერს, საღამოს 8 საათზედ დიდს კარავში რიშკოვს სადღესასწაულო სადილი იყო შაჰის პატივსაცემლად.

პეტერბურგი. დიდის ამბით დაიწო 4 სეკდემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მეცხრე კრება კრიმინალისტების საერთა-შორისო კავშირისა.

პარიჟი. იტალიის ელჩის ლაპარაკს შემდეგ დელკარეს წინაშე, მინისტრ-პრეზიდენტმა, როგორც ამბობენ ნაციონალურ მიმართულების გაზეთები, საყვედური უთხრა ზღვათა მინისტრს პელტანს აიაჩიოს წარმოთქმულ სიტყვისათვისაო.

პეტერბურგი. საბჭოში ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ შემოწმებულ იქმნას ხოლმე, რამდენად მართალია გაზეთების ცნობანი, რომ ვითომ ავად ეკიდებიან ავადმყოფებს ქალაქის სამკურნალოებშიო.

კიევი. საგუბერნიო ბჭობამ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათათვის იქონია მსჯელობა სერვიტუტების შესახებ. აგრეთვე იმის თაობაზედაც, რომ ბევრა ურმების გამოყვანისა ამ ჟამად მარტო გლეხ-კაცობას აწევს კისრად. ბჭობამ გაიცნო სამაზრო კომიტეტების პროექტი იმის შესახებ, რომ თითოეულს მაზრაში დაარსდეს სასოფლო-სამეურნეო სკოლა, სამეურნეო საბჭო, სანერგე, საჩქოლენი და განწესებულ იქმნენ ინსტრუქტორები, დაარსდეს საერობო საწყობნი სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღისა. პირველ საქმედ სამაზრო კომიტეტებს მიუჩნევიათ შემოღება არჩევანებზედ დამყარებულ საერობო გამგეობათა.

კურსკი. დღეს რიშკოვოს მობრძანდა სპარსეთის შაჰი -ძალით. მისი უდიდებულესობა-შაჰი იყო შავის მუნდირით და ზედ ოქრომკედის პაგონები ჰქონდა გაკეთებული სხვილის ბრილიანტებით. მხარზედ ცისფერი ლენტი რუსეთის ორდენის ანდრია პირველ-წოდებულისა. ამალას ოქრო-მკედით ნაკერი მუნდირები ეცვა და რუსეთის ლენტები ჰქონდა მხარზედ გაკეთებული. ნაშუადღევს 5 საათზედ რიშკოვოს სადგურზედ საპატიო ყარაული დახდა ბესარაბიის პოლკისა, რომელიც ხელმწიფე-მემკვიდრის სახელს ატარებს. მატარებლის მოსვლისას სადგურის დებარკადერზედ, რომელიც ლამაზად იყო მორთული ბაირაღებითა და მწვანით, გამობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე-მემკვიდრე, დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე, სერგი ალექსანდრეს-ძე, ნიკოლოოზ ნიკოლოოზის-ძე და მიხეილ ნიკოლოოზის-ძე, გარეშე საქმეთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი გრაფი ლამსდორფი, საიმპერატორო კარის მინისტრი გენერალ-ადიუტანტი ბარონი ფრედერიქსი, გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი, მის უდიდებულესობას და დიდთა მთავართა ამალის კაცნი და კურსკის გუბერნატორი გრაფი მილიუტინი. საღამოს 5 საათზედ მოვიდა საიმპერატორო მატარებელი სპარსეთის შაჰით. მუსიკამ დაუკრა მოგებების მარში, ჯარმა სადარაჯოდ მოიმართა თოფები, ხელმწიფე ხელმწიფე-მემკვიდრით და დიდ მთავრებით წინ მიეგებნენ სალონვაგონიდგან გამობრძანებულს შაჰს. ხელმწიფეს ჰქონდა გაკეთებული ფორმის ზემოთ სპარსეთის უმაღლესის ორდენის ლენტი. ერთ-ურთის მოკითხვის შემდეგ ხელმწიფება და სპარსეთის შაჰმა ჩაუარეს წინ ყარაულსა. გაისმა ხმები სპარსეთის საერო საგალობლისა და ჯარის-კაცთა „Здравія желать“. შემდეგ მათნი უდიდებულესობანი გაემართნენ შაჰისათვის მიმზადებულ კარავში, რომლის გარშემოც საუცხოვო წალკოტია გაშენებული ყვავილებისა. ერთ-ურთის დარბაზობის შემდეგ სადგურის დებარკადერზედ ხელმწიფემ გააცნო შაჰს თვისი ამალა, ხოლო შაჰიმ—თავისი. საღამოს 8 საათზედ დიდს სასადილო კარავში იყო სადღესასწაულო სადილი. შაჰი გააცილა თავის კარვამდე ხელმწიფემა და ხელმწიფე-მემკვიდრემ, აგრეთვე სპარსეთის ელჩმა, რომელიც რუსეთის კარის წინაშეა, მირზა-ჰასან-ხანმა. ხელმწიფემ დაჰყო შაჰის კარავში 25 წუთი და დაბრუნდა თავის კარავში. ამას შემდეგ შაჰთან ბრძანდებოდნენ სვდარბაზოდ დიდნი მთავარნი. დიდის მთავრების მიღების შემდეგ, შაჰი წაბრძანდა სადარბაზოდ ხელმწიფესთან. დარბაზობამ 25 წუთი გასტანა. მთარგმნელი იყო სპარსეთის ელჩი ჰასან-ხანი. დარბაზობის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ თავ-თავიანთ მატარებლების ვაგონებში.

პეტერბურგის ბირჟა, 3 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	46,00
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	—
პარიჟში ,,	$37,57^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	469 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$358^1/_2$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$293^3/_4$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$82^5/_8$ გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, "	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	—
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 7 სეკდემბრისათვის დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1) დუტუ და ივან ჩემინავათა საკასაციო საჩივარი რუსუდან გვათუასა და დურუხან გიგიბერიას წინააღმდეგ გრ. კემულარიას ვალის გამო.

2) გვათია და ნესტორ კვარცხალიათა საჩივარი რუსუდან გვათუას და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდან გამორიცხვის შესახებ.

3) გვათია და ნესტორ კვარცხალიათა და გრიგოლ კემულარიას დავა მამულის დარღვეულ მფლობელობის აღსადგენად.

4) შირვან და სანდრო ჩემინავათა საჩივარი რუსუდამ გვათუას და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

5) ნიკო კვარცხალიას საჩივარი რუსუდან გვათუას და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

6) ქვაბან ჯოლოგუას საჩივარი რუსუდან გვათუასა და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

7) ძვაძვაიას და სამსონ გაბუნიების საჩივარი რუსუდან გვათუასა და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

8) დუტუ და ივანე ჩემინავათა და გრიგოლ კემულარიას დავა მამულის დარღვეულ მფლობელობის აღსადგენად.

9) ალექსანდრე ამირხანოვისა, გიორგი სოფრონაძის და ვანო სანჩულაშვილის დავა 100 მანეთზედ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლის

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—21)

ტფილისის სამარხი კასსა ამით აცხადებს, რომ თხოვნით წევრად მიღებაზედ შეიძლება მიჰმართონ კასსის ხაზინადარს შიო ქუჩუკაშვილს სათავად-აზნაურო ქარვასლაში, № 101.

წევრად მიიღებიან მხოლოდ ტფილისსა და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში მცხოვრებნი.

(3—6.—1).

საბუღალტერო კლასები

დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცენოლ, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუკოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიოშენი**, ი. ფ. **გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—14)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაზიშვილი.